



# შპს კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor's Program in English Philology
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში (1005)
ინგლისურად:	Bachelor of Humanities in English Philology (1005)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 28 ივნისის ბრძანებით №01/05-130
პროგრამის განახლების თარიღი	განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებებით: 2012 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №01/01-22; 2013 წლის 27 აპრილის ბრძანება №01/01-13; 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01/01-34; 2014 წლის 25 მარტის ბრძანება №01/01-36; 2014 წლის 20 მაისის ბრძანება №01/01-60; 2014 წლის 31 მაისის ბრძანება №01/01-68; 2014 წლის 31 მაისის ბრძანება №01/01-69; 2015 წლის 31 ივლისის ბრძანება №01/01-20; 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანება №01/01-04; 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №01/01-26; 2016 წლის 03 სექტემბრის ბრძანება №01/01-34; 2017 წლის 03 მაისის ბრძანება №01/01-15; 2017 წლის 02 ოქტომბრის ბრძანება №01/01-32; 2019 წლის 18 იანვრის ბრძანება №01/01-10.
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ინგლისური ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქეთევან გრძელიძე: კავკასიის უნივერსიტეტის  
ავილირებული ასოცირებული პროფესორი

ხათუნა ბასილაშვილი

### პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათს).

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, აქედან 20 ECTS კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს, 30 ECTS კრედიტი - ინგლისურ ენას, 20 ECTS კრედიტი - მეორე უცხო ენის შესწავლას, 115 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საგნებს, 55 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის არჩევით საგნებს.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტი (არჩევითი სტატუსის მქონე საგნების ჩანაცვლების ხარჯზე), აითვისოს თავისუფალი კრედიტებით.

პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე განხორციელებას.

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნილია უცხო ენის – ინგლისური ენის ჩაბარება).
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
- სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი და სკოლის დეკანი, მათ მიერ შეთანხმებული შესაბამისობის საფუძველზე, სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

## პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p><b>პროგრამის მიზანი</b></p>	<p>ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება ინგლისურ ფილოლოგიაში.</p> <p>ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემული საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გადასცეს ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, რაც მოიცავს ინგლისური ენის მაღალ, პროფესიულ დონეზე შესწავლას (C1), ინგლისური ლიტერატურისა და კულტურის კომპლექსურ შესწავლას, თარგმანის საფუძვლებისა და დარგობრივი ენის თავისებურებების ცოდნას (კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში), ასევე, ტექსტის ინტერპრეტაციის, ლინგვისტური ანალიზისა და ლიტერატურული კრიტიკის უნარის განვითარებას.</p> <p>პროგრამის მიზნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სტუდენტს გადასცეს ინგლისური ფილოლოგიის კომპეტენციისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, შეასწავლოს ინგლისური ენის სტრუქტურა, ინგლისური ლიტერატურა, ისტორია და კულტურა.</li> <li>2. შეასწავლოს გამართულად საუბარი ინგლისურ ენაზე (წარმოთქმისა და ენის გამოყენების ჩათვლით), ათვისებულ ცოდნაზე დაყრდნობით, კონკრეტულ პრობლემაზე ან საკითხზე პროფესიული მსჯელობა, მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია ინგლისის ლიტერატურის, ევროპის ლიტერატურისა და ბრიტანეთის ზოგადი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;</li> <li>3. კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში, გამოუმუშავოს ინგლისური ენიდან და ინგლისურ ენაზე სხვადასხვა დარგობრივი ტექსტის წერილობითი და ზეპირი სახით თარგმანის მაღალ დონეზე შესრულების უნარი;</li> <li>4. ასევე, განუვითაროს ინფორმაციის პროფესიულ ლინგვისტურ თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და ამ ინფორმაციის დამოუკიდებლად გაანალიზების უნარი;</li> <li>5. გამოუმუშავოს აუდიტორიასთან კონტაქტისა და კომუნიკაციის წარმართვის აუცილებელი უნარი;</li> <li>6. განუვითაროს პროფესიული პასუხისმგებლობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების გრძნობა, ასევე, სხვადასხვა კულტურის პატივისცემის, ლიტერატურულ ესთეტიკური და ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანური ღირებულებები.</li> </ol>
<p><b>პროგრამის სწავლის შედეგები</b></p>	<p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:</p> <p>შედეგი 1. ფლობს ინგლისური ფილოლოგიის კომპეტენციისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, კომპლექსურად აქვს შესწავლილი ინგლისური ენის სტრუქტურა, ინგლისური ლიტერატურა, ისტორია და კულტურა.</p>

ინდიკატორები

- იცის ინგლისური ენის გრამატიკა (მორფოლოგია და სინტაქსი) და ფონეტიკა; ფლობს ფილოლოგიისათვის აუცილებელ ზოგად და კონკრეტულ ლინგვისტურ ცოდნას; ათვისებული აქვს ლინგვისტური ტერმინოლოგია; კარგად იცნობს ენის სტრუქტურას, ისტორიას; სტილისტიკისა და დარგობრივი ლექსიკისათვის დამახასიათებელ ზოგად თავისებურებებს;
- ფლობს ლიტმცოდნეობით ტერმინოლოგიას; შესწავლილი აქვს ევროპისა და ანტიკური ლიტერატურა. საფუძვლიანად იცნობს ინგლისური ლიტერატურის ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებს, ძირითად ავტორებსა და მათ ნაწარმოებებს, ადრე შუა საუკუნეებიდან მეოცე საუკუნის ჩათვლით;
- იცნობს ინგლისის ისტორიას, პოლიტიკასა და კულტურას;
- ფლობს ინგლისურ ენას ევროპული სტანდარტის (CEFR) C1 დონის შესაბამისად;
- კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში, იცის ინგლისური ენიდან და ინგლისურ ენაზე თარგმანის (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი თანმიმდევრული) თავისებურებები და ტექნიკა; ფლობს პრესისა და მხატვრული ენის თავისებურებებს.

შედეგი 2. შეუძლია გამართულად საუბარი ინგლისურ ენაზე, ლინგვისტურ საკითხებზე მსჯელობა მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით; მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია ინგლისის ლიტერატურის, ევროპის ლიტერატურისა და ბრიტანეთის ზოგადი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით; ინგლისური ენიდან სხვადასხვა დარგობრივი მახასიათებლის ტექსტის მაღალ დონეზე თარგმნა (კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში).

ინდიკატორები

- შეუძლია ინგლისურ ენაზე გამართულად მეტყველება და წერა; აქვს სწორი წარმოთქმა; შესაბამისად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას; ენის სტრუქტურისა და ისტორიის ცოდნაზე დაყრდნობით, შეუძლია იმსჯელოს კონკრეტულ და ზოგად ლინგვისტურ პრობლემებზე;
- შეუძლია მხატვრულ ნაწარმოებზე, პერსონაჟზე, თემაზე ან ლიტერატურულ პრობლემაზე მსჯელობა მხატვრული ლიტერატურის ცოდნისა და ლიტმცოდნეობითი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- ენის სტილისტიკისა და დარგობრივი თარგმანის ცოდნის საფუძველზე (თარგმანის კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში) შეუძლია სხვადასხვა სპეციფიკაციის ტექსტის თარგმნა და ანალიზი; წერილობითი და ზეპირი (თანმიმდევრული თარგმანის) მაღალ დონეზე შესრულება;

შედეგი 3. ინფორმაციის მოძიება კონკრეტულ ფილოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით და, მიღებული ცოდნის საფუძველზე, ამ ინფორმაციის შეჯამება-ანალიზი;

ინდიკატორები

- დამოუკიდებლად ნაშრომის ან პროექტის მომზადება ზოგად თუ კონკრეტულ ფილოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით;
- დასკვნის გამოტანა ინტერტექსტუალური მსჯელობის, სხვადასხვა კონკრეტული დარგობრივი ცოდნის კომბინაციისა და სინთეზის საფუძველზე;

შედეგი 4. აუდიტორიასთან კომუნიკაციის გამართულად წარმართვა და

	<p>დისკუსიაში მონაწილეობა პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით.</p> <p><u>ინდიკატორები</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიღებული ცოდნის საფუძველზე, საკუთარი შეხედულების თუ დასკვნის ჩამოყალიბება და წარდგენა-დასაბუთება აუდიტორიის წინაშე;</li> <li>• ინგლისურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გარშემო დისკუსიაში მონაწილეობა შესაფერისი პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით;</li> </ul> <p>შედეგი 5. პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობისა და სხვადასხვა კულტურის პატივისცემის, ლიტერატურულ ესთეტიკური და ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანური ღირებულებების განვითარება.</p> <p><u>ინდიკატორები</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იაზრებს პროფესიული პასუხისმგებლობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ძირითად პრინციპებს;</li> <li>• ლიტერატურისა და კულტურის სწავლების საფუძველზე უყალიბდება ჰუმანური და ესთეტიკური ღირებულებები;</li> </ul>
<p><b>დასაქმების სფეროები</b></p>	<p>კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება ინგლისური ენის სპეციალისტი, ტექსტის შედგენის, რედაქტურისა თუ თარგმანის (კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში) განხრით (მედიაკომპანიები, გამომცემლობები, ფინანსური თუ ტურისტული კომპანიები და ა. შ.);</li> <li>• საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში;</li> <li>• სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში;</li> <li>• სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში;</li> <li>• სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში.</li> </ul>
<p><b>სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</b></p>	<p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესისამებრ.</p>

<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.</p> <p>სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზე მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.</p> <p>შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:</p>
--	--

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერილი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

### სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი,

წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები**

- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - 5 პროფესორი (2 აფილირებული), 7 ასოცირებული პროფესორი (1 აფილირებული), 1 ასისტენტ-პროფესორი
- 25 მოწვეული სპეციალისტი

**პროგრამის სხვა რესურსები**

- პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:**
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ვარშავის უნივერსიტეტი „Collegium Civitas“ (პოლონეთი)
  - ადამ მიცკევიჩის პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
  - ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები:**
- შპს „კვირის პალიტრა“
  - მწერალთა სახლი
  - ა(ი)პ ევროპის სახლი
  - ა(ა)იპ იკომის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
  - ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი
  - ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
  - ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრი
  - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
  - ა(ი)პ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია
  - შპს The Messenger

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

- სასწავლო აუდიტორიები.
- კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკები;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).
- უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელექტრონული ფონდი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.
- სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.
- კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე გაშვებულია რვა კომპიუტერული კლასი, რომლებიც პერსონალური კომპიუტერებით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board“, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფორმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD“ - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით. უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco“-ს და „Nortel“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე. აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.



**ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა  
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)**

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანის მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
<b>სავალდებულო საგნები</b>												
			<b>ზოგადსაუნივერსიტეტო და სასკოლო სავალდებულო საგნები:</b>	<b>10</b>	<b>10</b>							<b>20</b>
1.	ACWR 1160	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5								<b>5</b>
2.	CSC 1160	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5								<b>5</b>
3.	PHIL 0005	არ გააჩნია	ფილოსოფია		5							
4.	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია		5							<b>5</b>

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			<b>პირითადი უცხო ენა<sup>1</sup> (სავალდებულო)</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>			<b>30</b>
5.	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5								<b>5</b>
6.	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5							<b>5</b>
7.	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5						<b>5</b>
8.	ENGL 0008/ENGL 0010	ENGL 0007/ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5					<b>5</b>
9.	PENG 0001	ENGL 0008	პროფესიული ინგლისური ენა 1					5				<b>5</b>
10.	PENG 0002	PENG 0001	პროფესიული ინგლისური ენა 2						5			<b>5</b>
			<b>მეორე უცხო ენა (სავალდებულო)</b>			<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>			<b>20</b>
11.	FREN/GERM/ESP 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0			5						<b>5</b>
12.	FREN/GERM/ESP 0002	FREN/GERM/ESP 0001	მეორე უცხო ენა A1				5					<b>5</b>

<sup>1</sup> იხ. შენიშვნა სასწავლო გეგმის ბოლოს

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
13.	FREN/GERM/ESP 0003	FREN/GERM/ESP 0002	მეორე უცხო ენა A2.0					5					5
14.	FREN/GERM/ ESP 0004	FREN/GERM/ ESP 0003	მეორე უცხო ენა A2						5				5
			<b>დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნები</b>	<b>15</b>	<b>15</b>	<b>20</b>	<b>20</b>	<b>15</b>	<b>10</b>	<b>15</b>	<b>5</b>		<b>115</b>
15.	LING 1160	არ გააჩნია	ენათმეცნიერების შესავალი	5									5
16.	LITR 1160	არ გააჩნია	ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები	5									5
17.	ANTH 1260	არ გააჩნია	ანტიკური ლიტერატურის ისტორია		5								5
18.	HISB 2160	არ გააჩნია	ბრიტანეთის ისტორია			5							5
19.	TPEL 1160	არ გააჩნია	ინგლისური ენის ფონეტიკა 1	5									5
20.	THGE 2160	LING 1160	ინგლისური ენის გრამატიკა 1			5							5
21.	TPEL 1260	TPEL 1160	ინგლისური ენის ფონეტიკა 2		5								5
22.	THGE 2260	THGE 2160	ინგლისური ენის გრამატიკა 2				5						5
23.	STLG 1260	არ გააჩნია	ქართული ენის სტილისტიკა		5								5
24.	ELH 2160	LITR 1160	ინგლისური ლიტერატურა (ადრე შუა საუკუნეებიდან 1616 წლამდე)			5							5
25.	ELH 2260	ELH 2160	ინგლისური ლიტერატურა (XVII-XVIII საუკუნეები)				5						5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
26.	STLE 2260	STLG 1260	ინგლისური ენის სტილისტიკა				5						5
27.	LEXE 3160	LING 1160	ლექსიკოლოგია					5					5
28.	TXTE 2160	არ გააჩნია	ტექსტის ინტერპრეტაცია 1			5							5
29.	TXTE 2260	TXTE 2160	ტექსტის ინტერპრეტაცია 2				5						5
30.	TRAN 3160	STLG 1260 STLE 2260	თარგმანის თეორიის საფუძვლები					5					5
31.	ELH 3160	LITR 1160 ELH 2260	ინგლისური ლიტერატურა - XIX საუკუნე					5					5
32.	ELH 3260	ELH 3160	XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურა						5				5
33.	UKCP 3260	HISB 2160	გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფია და კულტურა						5				5
34.	LHIS 4160	HISB 2160	ინგლისური ენის ისტორია							5			5
35.	PRAG 4160	LING 1160	გამოყენებითი ლინგვისტიკა							5			5
36.	ELIT 4160	LITR 1160	ევროპის ლიტერატურის ისტორია 1							5			5
37.	ELIT 4260	ELIT 4160	ევროპის ლიტერატურის ისტორია 2								5		5
			<b>არჩევითი საგნები</b>					5	10	15	25		55
			<b>ა) დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნები</b>										
38.	WAH 3160	ANTH 1260	მსოფლიო ხელოვნების ისტორია					5					5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
39.	ALIT 4260	LITR 1160	ამერიკის ლიტერატურა								5	5
40.	LITR 4160	LITR 1160	შექსპირი							5		5
41.	ECIN 4160	არ გააჩნია	ევროპული ლიტერატურა კინემატოგრაფიაში							5		5
42.	DIGL 4260	LING 1160 PRAG 4160	ციფრული ლინგვისტიკის საფუძვლები								5	5
43.	BANL 4260	არ გააჩნია	აკრძალული ლიტერატურა და გამოხატვის თავისუფლება სიტყვაში								5	5
<b>ბ) ზოგადი არჩევითი საგნები</b>												
44.	INTR 3160	არ გააჩნია	კულტურათაშორისი კომუნიკაციის საფუძვლები					5				5
45.	EPSY 3260	არ გააჩნია	ეთნოფსიქოლოგია						5			5
46.	EDUP4260	არ გააჩნია	განათლების ფსიქოლოგია								5	5
47.	INTO4260	არ გააჩნია	საერთაშორისო ორგანიზაციები								5	5
<b>გ) კონცენტრაციის მოდული თარგმანმცოდნეობა</b>												
48.	WTEG 3260	TRAN 3160 ENGL 0008	<b>წერილობითი თარგმანი</b> ინგლისური ენა → ქართული ენა						5			5
49.	CTEG 3260	TRAN 3160 ENGL0008	<b>თანამიმდევრული თარგმანი</b> ინგლისური ენა → ქართული ენა						5			5
50.	CTEG 4160	CTEG 3260	<b>თანამიმდევრული თარგმანი</b> ქართული ენა → ინგლისური ენა							5		5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი		
				I		II		III		IV				
				ECTS კრედიტი										
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი			
51.	WTEG 4160	WTEG 3260	<b>წერილობითი თარგმანი</b> ქართული ენა → ინგლისური ენა								5		5	
52.	MTEG 4260	TRAN 3160 ENGL 0008 WTEG 4160	<b>პრესის ენა (ინგლისური)</b> ინგლისური ენა → ქართული ენა ქართული ენა → ინგლისური ენა									5	5	
53.	TTEG4260	TRAN 3160 ENGL 0008 WTEG 4160	<b>დარგობრივი თარგმანი</b> ინგლისური ენა → ქართული ენა ქართული ენა → ინგლისური ენა									5	5	
54.	LTEG 4260	TRAN 3160 ENGL 0008 WTEG 4160	<b>მხატვრული თარგმანი</b> ინგლისური ენა → ქართული ენა ქართული ენა → ინგლისური ენა									5	5	
<b>დ) თავისუფალი კრედიტები</b>													20	
	FREE 0001		თავისუფალი კრედიტი					5					5	
	FREE 0002		თავისუფალი კრედიტი						5				5	
	FREE 0003		თავისუფალი კრედიტი							5			5	
	FREE 0004		თავისუფალი კრედიტი								5		5	
საგნების/მოდულების რაოდენობა წელიწადში				სემესტრში		30	30	30	30	30	30	30	30	240
				წელიწადში		60	60	60	60	240				
შენიშვნა:														

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
<p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებიდან, პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ან სხვა ECTS კრედიტის მიმნიჭებელი პროგრამებიდან რელევანტურ საგნებში თავისუფალი/ალტერნატიული კრედიტების სახით დააგროვოს არაუმეტეს 20 ECTS კრედიტისა.</p> <p><b>შენიშვნა:</b> შესაბამისი დონის ინგლისური ენის ჯგუფებში სტუდენტთა განაწილებას განსაზღვრავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მიღებული ქულა. სტუდენტი, რომელიც ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მიხედვით განაწილდება B1.0 დონის ჯგუფში, ვალდებულია მეხუთე და მეექვსე სემესტრებში, არჩევითი საგნების ჩანაცვლების ხარჯზე, გაიაროს C1.0 და C1 ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსები, ვინაიდან სტუდენტის მიერ ინგლისურ ენაში C1 დონის მიღწევა პროგრამის სწავლის შედეგებით არის გათვალისწინებული.</p>												

